„მესტიაჭალა 1“ ჰესის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების შეცვლის“ განცხადებაზე დამატებითი ინფორმაციის წარდგენა

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

10 მარტი, 2023 წელი

ქალბატონო თამარ,

შპს „მესტიაჭალა ენერჯის“ მიერ 2023 წლის 10 იანვრის (N 155) წერილით წარმოდგენილ **„მესტიაჭალა 1 ჰესის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების შეცვლის განცხადებაზე“** - დამატებით წარმოგიდგენთ ინფორმაციას მატერიალური და ელექტრონული სახით.

ჩვენი 10 იანვრის წერილით წარმოდგენილ excel-ის ცხრილში შეცდომით იყო მოხსენიებული ეკოლოგიური ხარჯის სიდიდე. გაცნობებთ, რომ ეკოლოგიური ხარჯის კუთხით ცვლილება არ არის მოთხოვნილი. შესაბამისად, ეკოლოგიური ხარჯის შესახებ ყველა ინფორმაცია ამოღებულია დოკუმენტებიდან. ანგარიშსა და განმარტებით ბარათში დაკორექტირდა თევზსავალისა და თევზამრიდის თაობაზე ინფორმაცია. გზშ-ის ანგარიშის მოცემული საფეხურებრივი თევზსავალის ნაცვლად, კომპანიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბუნებრივთან მაქსიმალურად მიახლოებული თევზსავალის მოწყობის თაობაზე. წერილს თან ერთვის შესაბამისი მიმართვა და თანდართული დახასიათებები, ნახაზები და შედარებითი ანალიზი, რომლითაც დასტურდება ბუნებრივთან მიახლოებული თევზსავალის უპირატესობა. ამასთან, დაზუსტდა და წარმოდგენილ იქნა განახლებული სამშენებლო ნახაზები.

გარდა ამისა, კომპანია აცნობიერებს ყველა რისკს და გათვალისწინებულ იქნა ყველა რეკომენდაცია და მიღებულ იქნა მაქსიმალური ღონისძიებები უსაფრთხოების კუთხით. ასევე, კონსორციუმის კვლევიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, მოხდა წყალმიმღების გადატანა მაქსიმალურად უსაფრთხო ადგილზე, მილსადენის ტრაექტორიად კი შერჩეულ იქნა მაქსიმალურად უსაფრთხო დერეფანი.

პატივისცემით,

შპს „მესტიაჭალა ენერჯი“

ნინო ცხადაია

დირექტორი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„13“ 03 2023 წ.
№ 2039